

წუთი თავისუფალ დროსი მას შეწირული ქონდა თავის მოძმეთა სამსახურისთვის. ლევარსი, როგორც ხალხის ლედილი შვილი და მოქირავე მუშა, მუდამ ხალხში, მუშებში ტრიალებდა და თავის გარემო ელექტრონის ლამაზსავე უზნათ ფენდა ამხანაგთა შორის შეგნებისა და ცნობიერების შექს. ლ. განხორციელებული და ზოგადი პროპაგანდა იყო და, ორგანიზატორული ნიჭითაც საქმით დაჯილდოებული ის, სადაც კი მუშათა შორის მოექცეოდა, აუცილებლათ ღრმა კვლის დატოვებდა თავისი მოქმედებისას და უზნათ დათესდა რევოლუციის თესვებს. ლ. ჯერ კიდევ შავიდან იყო ამიერ კავკასიის რკინის გზის სახელმწიფო მთი უფროსი მუშის წინააღმდეგ, რომელიც დიდ შევიწროებას აყენებდა მუშებს, ნამეტურ ქრთამის აღებით. ლ.-ს ხელმძღვანელობით გაფიცვამ სრული გამარჯვებით ჩაიარა. შემდეგ ლევარსი ტოკრის ცეხში მიიღეს. მისმა რევოლუციონერმა მოქმედებამ კიდევ უფრო ფართოთ გაშალა ფრთები, და ის შეუდგა მუშათა წრეების შედგენას, რომლებშიც თვითონ ეწეოდა პროპაგანდას. ამასთან ის ყოველ გაფიცვებში მოწინააღმდეგე იდებდა. ლ.-ს ასეთი დაუღებარი მოქმედება მთავრობას, რასაკვირველია, შეუნიშნავი არ ღარჩენია და 1900 წ. ის დატუსაღებული იქნა ციხეში, სადაც მან ექვსი თვე დაჰყო. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ლევარსის მოქმედების წყურვილი კიდევ უფრო გაუცხოველდა, მაგრამ რადგან თვითონში სამუშაო ვეღარ იშოვა, იძულებული გახდა წასულიყო სოფ. ქარელში, სადაც მდ. მტკვარზე რკინის გზის ხიდს აკეთებდნენ, და აქ იშოვა სამუშაო. აქ ის დიდხანს არ ღარჩენილა, მარა საქმის გაკეთება აქაც მოასწრო: მან აქაც გაახურა თვისებური პროპაგანდა, ზურგ მუშის აუხილა ფონების თვალები, და იმდენათ მოაზადა ისინი, რომ პირველი მაისიც კი იღვესაწაულეს. ბოლოს ლევარსიმ ქიათურას მიაშურა, საცა მას სამკალი ბევრი ეგულებოდა, ხოლო მოკელი კი თითქმის არცერთი, და აი მან შავი ქვის ბნელ მალაროვშიც შეაშუქა თავისი მადლიანი პროპაგანდის ცხოვრებულად შეუქი. მაგრამ ის იყო საქმეს მტკიცე ნიადაგზე აყენებდა, რომ უწყალო სიკვდილმა ხელიდან გამოგვაცალა ჩვენი ძვირფასი ლევარსი. ლ. ჯერ სულ ახალგაზრდა იყო და მისი სიკვდილი მით უფრო გულს გვწყვეტავს ჩვენ. თვითონის და ქიათურის მუშებმა გადაცვალებულ თანამებრძოლს პატივი სცეს და მისი კუბო გვირგვინებით შეამკვეს. თვითონისავე გაგზავნილ იქნა მის გასვენებაზე დასასწრებათ მუშათა წარმომადგენელი გვირგვინით, რომლის წითელ ღერტს შემდეგი წარწერა ამწვენდა: „დაუღალავ მებრძოლ მუშას ლევარსი მიქატაძეს ძეგლისის მუშათაგან“. იმავე წარმომადგენელმა მიცვალებულს სამკაო ერცელი და გრძნობით საესე სიტყვით მიმართა, რომელშიც ღირსეულათ დაფასა და დახასიათა ლევარსის ვინაობა დი მისი მოღვაწეობა.



გვირგვინოვანი ძუღლი ანუ მუშაკი მკითხველი.

27 ივლისს 1901 წ. გამოქვეყნებულ იქნა უმაღლესი მანიფესტი ხელმწიფე ნიკოლოზ მეორის დის ოლგა ალექსანდრეს ასულის და მის უმაღლესობის პრინცის ალექსანდრე პეტრეს ძის ოლდენბურგელის შეუღლების შესახებ. სასახლის მეტორეები გულის ფანტაზიით ელოდნენ, რომ ოლგას იმისთანა მზითვეს გააყარებდნენ, როგორიც შეეფერება ახალ შეუღლებულთა ხარისხს და სიმდიდრეს. მაგრამ იმედი

გაუტრუვდა. „როგორ? ნუ თუ მეფური ქორწინება უმზითვით მოხდა? — იკითხავს მკითხველი. დიხ! როგორ არა! იქნება ახალგაზრდა პრინცის სიზმრათაც არ ზმანებოდეს ისეთი სიუხვე; როგორიც ხელმწიფე ნიკოლოზმა თავის დის მიმართ გამოიჩინა! და არა მარტო გამოიჩინა, თავის სიუხვე კიდევაც დამალა, რომ ბოროტმა ხალხმა არ იჭრიკანოს: „პრინცმა მზითვედ დაიწერა ჯვარი“. ხელმწიფის სიძეს იმავე ივლისში მიეცა მთელი გაგრის აგარაკი შავი ზღვის ნაპირას, სიერკით თოთხმეტი ათასი დესეტინა. აი როგორ მოგვიხსრობს ამ გადაცემის ისტორიას მიწათ მოქმედების სამინისტროს ოფიციალური ორგანი. (ეს საბუთი ამოღებულია ერთ საზღვარ გარეთელ გაზეთიდან). „მაცესტრის კურორტზე უფრო ჩქარა გაშენდა კლიმატური სადგური გაგრაში, პრინცი ალ. პ. ოლდენბურგელის მეცადინეობით, რომელმაც თითონ ითავა ამ სადგურის მოწყობა და გამგეობა. ეს აგარაკი, სიერკით 10—12 ვერსტი, ზღვის პირიდან იწყება, უჭირავს აფხაზეთის შუა გული და კავკასიის უმთავრეს ქედის კალთებამდის მდის, სადაც მწვენიერი საბაღოებია, მთელი აგარაკი საესეა ძალიან ძვირფასი ჯიშის ტყეებით (ბზის, ნაძვის, წაბლის, კაკლის და ზეთისხილის). აგარაკი მთიანია და დაყოფილი ღრმა ხეებით, რომლებშიც მოჩანჩქარებენ მდინარეები ჟოვეკვარა, გაგრისებში და სხვა. პაერთი, მდებარეობით და სილამაზით გაგრის აგარაკი დიდი ხინია განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. მისმა უმაღლესობამ ალ. პ. ოლდენბურგელს ინახულა ეს ადგილი (1900 და 1901 წ.), ძალიან ყურადღებით დაათვალიერა, ექიმების და სპეციალისტების ექსპედიციასთან ერთათ, და ის აზრი გამოსთქვა, რომ მთელ დედამიწის ზურგზე მნელათ მოიპოვება ამ აგარაკისთანა შესაფერი ადგილი კლიმატური სადგურის გასამართავად, რომ ადგილის სილამაზით, მცენარეების სხვა და ხეობით, ჭაერთი ეს ადგილი სჯობია დასავლეთ ევროპის ყველაზე სახელგანთქმულ კლიმატურ სადგურებს. გაგრის აგარაკის უმთავრესი ნაწილი მოხმარდება თითონ სანატორიას და საქირო დაწესებულებებს, პატარა ნაწილი აგარაკისას მისი უმ. ალ. პ. ოლდენბურგელის საკუთრებათ შეიძენს, დანარჩენი აგარაკის ნაწილი კი, სიერკით ათასი დესეტ., დიყოფა პატარა-პატარა ნაჭრებათ და კერძო პირებზე გაიყიდება, იმ პირობით კი, რომ მათ კარგათ გააშენონ და სააგარაკო სახლები ააგონ. ის თანხა, რომელიც პატარა-პატარა ნაწილების და მ. უ. ალ. პეტ. ოლდენბურგელის ნაწილის გაყიდვიდან შემოვა, მოხმარდება გაგრის აგარაკს, სანატორიის და სხვა საქირო შენობებათა აგებას. ამავე საფას მონაბრდება აგრეთვე ყველა შემოსავალი ტყიდან, ქვის გაყიდვიდან, მიწების იჯარათ გაცემიდან და მომავლ სანატორიის მოგებიდან. მაგრამ ეს თანხები არ კმარა გაგრის აგარაკის კლიმატურ სადგურის მოსაწყობათ; ამ საქმეს, ალ. ოლდენბურგელის გამოანგარიშებით, მოუწევდა ორ მილიონზე მეტი. ამისათვის, უმაღლესი ნებართვით შესაძლებელათ არის ცნობილი ამ საქმეზე მოსახმარად ზემო აღნიშნულ შემოსავლის გარდა პრინც ედუარდის წლიურათ ასი ათასი მანეთი ათი წლის განმავლობაში 1901 წლიდან დაწყებული“ (სამინის. ცნობ. 1901 წ. № 48).

მაშ ტყუილია, მკითხველი, რომ ფიქრათაც არავის მოუვიდოდა, თუ ხელმწიფე ისეთს გულუხვობას გამოიჩინდა! მაგრამ რათ მორცხვობდა ასე ნიკოლოზი? თითქოს ასეთი მორცხვობა მას არ შეეფერება! აბა ან რა საკადრისია თვითმპყრობლობისთვის! საქმე იმაში გახლავთ, რომ ხელმწიფემ თავის სიძეს მზითვათ მისცა არა თავისი საკუთარი, არამედ სახანო აგარაკი, და, რასაკვირველია, თვითმპყრობელისთვისაც კი უხერხული იქნებოდა, რომ გამოექვეყნებია, დამწეულ რუსეთის ავღადილებით სიუხვე გამოეჩინეო. ამავე მორცხვობის გა-

ან, თუმცა ვალდებულნი არიან პირობის ძალით, — ამიტომ ის თავში თითო მანეთს ახდენენ, იმა-
თაც კი, ვისაც ასახი აქვს ღელე; შეშას კი აძლევენ
იმდენს, რომ ის ათბობს ოთხს ერთი ან ორი სა-
ათის განმავლობაში.


ყოველმა მუშამ, რომელსაც სურს საქმე იშოვოს
სხვებზე ფაბრიკაში უნდა იცოდეს, რომ მუშა
ხელს საჭიროებს ფაბრიკა, ადგილის მთხოვნელი
კარგი შესახედავი უნდა იყოს, მაგრამ მორჩილი გა-
მომეტყველბა ქონდეს და ფაბრიკის უფროსი გაჯი-
უსენი კარგ ხასიათზე იყოს; თუ ყველა ეს პირო-
ბები არ არის, მთხოვნელი ადგილს ვერ მიიღებს,
არამედ უფროსის ბრძანებით კიდევაც გალახავენ მას
კარის მცველები. დაითხოვენ მუშას ფაბრიკიდან
სულ უბულო მიზეზის გამო, უფრო გაჯი-უსენის
კინის გამო; ქალებს კი დაითხოვენ თუ მათ არ და-
ეკმაყოფილეს გაჯის ბინძური სურვილები.

ამ ფაბრიკაში ქალებიც მუშაობენ, რიცხვით 50,
ქმარიანი და უქმარი; ყველა ესენი ცხოვრობენ ერთ
ახოგადო ყაზარმაში. ყაზარმას ყავს ყურის მგდე-
ბელი: გაათავებენ თუ არა მუშაობას უნდა წავიდნენ
ყაზარმაში, იქიდან წასვლა საღმე სასტიკათ აკრძა-
ლულია — გადღი უსენი იტავს თავის მუშების ზნე-
ობას. დიხ, უსენი ზნეობრივი კაცია; მაგრამ რა-
ღაც ხშირათ მოეწონება ხოლმე მას ამ ყაზარმიდან
რომელიმე ქალი, მოიწვევს თავისთან, და ვაი იმის
ბედს, თუ უარი თქვა მის სურვილის დაკმაყოფი-
ლებაზე: იმ საღამოსვე დათხოვნილ იქნებოდა არა
თუ ის, არამედ ყველა მისმა ნათესავებმა უნდა და-
ტოვონ ფაბრიკა, თუნდ ქუჩაზე მოუხდეს ღამის გა-
თევა. ჩვენმა პატრონმა გაჯიმ ერთ სლესარს წა-
ართვა ცოლი: ქმარი გააგდო ფაბრიკიდან, ცოლი
კი საზოგადო კაზარმიდან გადაიყვანა ცალკე ოთა-
ში და ცხოვრებასი მასთან; როდესაც ქალმა დაბო-
ლოს ვეღარ შესძლო მისი დაკმაყოფილება: ერთი
თვის შემდეგ მშობიარობა ქონდა, მაშინ უსენმა გა-
აგდო ის ფაბრიკიდან და მის მაგივრათ აიყვანა სხვა.
ზნეობის დასაცველათ გაჯიმ გალახა საშინლათ კო-
ჩეგარი, რომ მისმა ყვირილმა შეაშფოთა მთელი
ფაბრიკა, საქმე სამჯერამდის უნდა მისულყო, მო-
წვევებიც იყო, მაგრამ უსენმა მოახერხა საქმის
ჩაფუჭება — დაპირდა 160 მანეთი და ძროხა, მაგ-
რამ როცა ტკივილი დაშუშდა უარი უთხრა დაპი-
რებულის მიცემაზე; ის მუშები კი, რომლებიც მო-
წვევებით ღებოდნენ, — დაითხოვა ფაბრიკიდან. აი, ამ
გვარი პირობებია ჩვენი კაცთმოყვარე ტაგიევის ფა-
ბრიკაში. ქალებს ურტყამენ, ყავთ კარ ჩაეტილში,
არ აძლევენ ნებას ინახულონ ქმარი, ძმა, მამა; მცვე-
ლი კი ურიალნიკებთან ერთათ დასერილობენ, უყუ-
რებენ ტანზე გახდილ ქალებს, ლაზღანდარობენ მათ
ზნეობაზე, გაქელილს უსენისაგან. მაგრამ ვიკით-
ხოთ, იცის თუ არა ეს „კაცთმოყვარე ტაგიევმა?
იცის და ძალიან კარგათა იცის, მართა როგორ და-
სულს, როდესაც გაჯი უსენი მისი კობია არის.
ტაგიევმა ოთხი თვის განმავლობაში ორჯერ და-
უკლო ხელფასი მქსოველებს ნაქერზე, ათი შაური-
დან დასწია ფასი ექვს შაურამდი. გარდა ამისა პირ-
დაპირ იპარავდნენ მუშების ნაშრომს. ცნობილია,
რომ მქსოველები ნაქერზე იღებენ ექვს შაურს და
ნაქერში არის ორმოცდა ათი არშინი, მაგრამ ეს
ასეც მხოლოდ ქალაღზე და საქმით კი ყოველთვის
3, 5 და 6 არშინი მეტია ნაქერში და ამ ზედმეტი
არშინებისათვის კაპეიქაც არ აძლევენ.

მაგრამ მუშების მოთმინებასაც აქვს საზღვარი;
იჩივლეს ფაბრიკების ზედამხედველთან, რომელიც
ითვლება მუშების დამცველათ. ფაბრიკების ზედა-
მხედველმა კი არ მოისურვა „ქველმოქმედი“ ტა-
გიევის სახელის გატეხა და ურჩევდა მოთავე მუშებს
მიეღოთ თავისი და დაკმაყოფილებულიყვნენ, მაგრამ
მოთხოვრების აგენტის გაიძვრაობამ ვერ გადახვევია
მოთავე მუშებს ზნეობის სიფაქიზეზე: იმათ მოითხო-
ვეს ყველას დაკმაყოფილება. საქმე გამწვავდა. მა-
გვს ყველას დაკმაყოფილება.

შინ ტაგიევმა და ფაბრიკების ზედამხედველმა სხვა
ხერხს მიმართენ: მისცენ რუს-მუშებს, — რადგანაც
ესენი იყვნენ მეთაურები, — რაც ერგებოდათ, დაუ-
რიგეს გზის ფული, მოეფერნ და გაუშვენ ბაქოდან.
დაწინარდა ყოველივე და ტაგიევს გაჯი-უსენთან
ერთათ ღარა ბურთი და მოედანი ჯერ-ჯერობით:
წინადადებურათ ყვლეფენ მუშებს, რყენიან მათ ოჯა-
ხებს. ფაბრიკების ზედამხედველი კი შორი-ახლოდან
უტყერის ამ ამბავს, იღიმება და უგალობს ქებათ-
ქებას ტაგიევის „ქველმოქმედებას“. არა, ბატონო
ზედამხედველო, დიდი სისაძაგლე ფეხით გათელვა
იმ მცირე კანონისა, რომელიც გამოგლიჯეს მოა-
ვრობას მუშებმა; სისაძაგლე ქებათა ქებას გალობა
ტაგიევის ქველმოქმედების. ქების ღირსია ის კი
არა — მუშები, დაზარალებულთ შემწეობა აღმოუ-
ჩინა ტაგიევმა კი არა, არამედ მუშებმა, თავის და-
ბეჯელ ხელებით; ქვეყნის ბურჯნი არიან მუშები
და არა მილიონერები. მაშ მოუსურვოთ მუშა ხალხს
ნაკლები მოთმინება და უფრო მეტი ენერგიული
ბრძოლა მცარცელების წინააღმდეგ.

ზენა.



გურიის მემამულეები.

გურიის მემამულეები არავითარ ზომებს არ ერი-
დებიან, ოღონდ კი როგორმე ქედი მოახრევიონ
გურიის გლეხაკობას და ძალა-უნებურათ თავის
მიწები იჯარით ააღებონ. როგორც ოზურგეთიდან
გვატუბონებენ, ერთ თავადს მოუთხოვია სახელმწი-
ფო ტყის მცველისათვის, რომ მას ყველა თავისუ-
ფალი სახაზინო ადგილები მისთვის მიეცა იჯარით.
ტყის მცველმა უარი უთხრა ამაზე, და ეს უარი კი-
ნაღამ სიკოცხლეთ დაუჯდა: გამხეცებული თავადი
მიერდა ხანჯლით მოსაკლავათ და მხოლოდ შე-
მთხვევამ გადაარჩინა ტყის მცველი მის მძინებარე-
ბას. ამან მაინც ვერ შეაყენა სხვა მემამულეები.
მაზრის უფროსის შემწეობით მათ მოახსენეს უმაღ-
ლეს მთავრობას, რომ ტყის მცველი მიწას გლეხებს
აძლევს იჯარით და ამით ხელს უწყობს მათ აჯან-
ყებას მემამულეთა წინააღმდეგ, გლეხები აღარ აპი-
რებენ მუშაობას მემამულეების მიწაზე იმ იმედით,
რომ სახაზინო მიწით შეიძლებენ თავის რჩენას. არ
ვიცი, რა შედეგი მოყვება ამ მოხსენებას. ტყის
მცველის დევნა კი ჯერაც არ გათავებულა. ტყის
მცველის ანაშენი ადმინისტრაციის განკარგულე-
ბით შინაურულათ დაპატიმრებული იქნა; რა და-
ნაშაული მიუძღვის იმას მემამულეთა წინაშე არა-
ვინ არ იცის. ამაზე იტყვიან: „ცხენს ვერაფერი
დააკლენ, უნაგირი დაამტვრისო“.



პ ი რ ი

მთავარმართებლის კანცელარ. მიწერილობისა

გუბერნატორების მიმართ.

მთავარმართებლისაგან მიღებულ ცნობების თა-
ნახმა, კავკასიის ერთ გუბერნიაში მიღებულია გლე-
ხებზე ფასით სახაზინო მიწის გაცემა. ამიტომ, მი-
იღო რა ზედველობაში, რომ 1) ასეთი წესი მიწის
გაცემისა შესაძლოა სხვა გუბერნიებშიაც იყოს მი-
ღებული, რომ 2) თუმცა ხსენებული უგადო სარ-
გებლობა ბევრით ჯანირჩევა შეუჩინეველ უფასო

სანადგო მფლობელობისაგან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გლეხები ისეთ სარგებლობას იმავ თვალთ უყურებენ, როგორც დამატებით სანადგო; რომ 3) ამის გამო ამ მიწის რუსების დისახლფისთვის მოხმარება შეძლებს გასაქირი გახდეს; და რომ 4) უმაღლეს მთავრობისაგან დადგენილია, რიც კი თავისუფალი სახაზინო მიწა დასამუშავებლად გამოსადევი მოხმარდეს რუსეთიდან გადმოსახლებულ ბატონმა მთავარპროვინციის კეთილ ინება და დადგინა, უეჭველად შეჩერებული იქნეს ხსენებულ წესით აღდგომობრივ მცხოვრებლებზე მიწის გაცემა. მთავარპროვინციის კანცელარიას აქვს პატივი მის ბრწყინვალეობის თავადი გოლიცინის მინდობილობით აუწყოს თქვენს აღმატებულებას ეს განკარგულება, რომ თქვენ საჭირო ზომები მიიღოთ ხსენებულ საგნის შესახებ.



მეტქის ციხეში და საგუბერნიო საპატიმროში

თფილისში 1903 წლის 23 აპრილს

ისხდენ შემდეგი პოლიტიკური ბუსაღები:

- 1). იაოლიბე ურანჩიშვილი 1901 წლის 10 მარტიდან—34 წლისა (318 და პირველი ნაწილის 252 სტატ. ძალით).
- 2). ვიხტორ კურნატოვსკი 1901 წლის 21 მარტიდან, 36 წლისა (იმავ სტატიების ძალით).
- 3). გიორგი ვარდოიანი 1902 წლის 4 თებერვლიდან, 24 წლისა (იმავ სტატიების ძალით).
- 4). გიორგი კარაჯიანი 1902 წლის 16 თებერვლიდან, 40 წლისა (250 და პირველი ნაწილის 251 სტატიების ძალით).
- 5). ვლადიმირ კიციშვილი 1902 წლის 2 სექტემბრიდან (318, 251 და 252 სტატ. ძალით).
- 6). მიხეილ ლიპინი, სამსწავლებლო ინსტიტუტის მოსწავლე, 1903 წლის 18 მარტიდან.
- 7). ვიტალი გლოკ, გიმნაზიის მოსწავლე ნაყოფი.
- 8). მესტი ჩანტლაძე 1901 წლის 16 აპრილიდან, 30 წლისა (318 და 252 სტატ. ძალით).
- 9). ვლას გვალაძე 1901 წლის 8 ნოემბრიდან, 29 წლისა, (318 და 252 სტატ. ძალით), საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროშია.
- 10). ზაქარ ჩოღაროვილი 1902 წლის 16 თებერვლიდან, 36 წლისა, (250 და პირველი ნაწილის 251 სტატ. ძალით), საქმე იქვეა.
- 11). კალისტრატ გოგუა (250 სტატ. ძალ.), 29 წლისა, საქმე იქვეა.
- 12). აბელ ენუშიძე 1902 წლის 4 ნოემბრიდან.
- 13). გოსე შენგელია 1902 წ. 23 დეკემბრ.
- 14). ლუბოვი—ურია—21 წლისა.
- 15). სტეფანე ბაზიშვილი—ავსტრიელი—31 წ. პირველი 7 ინტელიგენტებია, დანარჩენი მუშები.

სომხების სამხრის გამო სხედან:

- 1) მიქაელ გულიანი, 2) პოლს შატიკიანი, 3) იაგოშე მარკარიანი, 4) მოსეს მარტიანი და 5) აქანეს ტერაკოფოვი, ყველა ესენი მუშებია.
- ამათ გარდა ისხდენ 9 გაფიცულები—კანდიტის მუშები, რომლებიც გაათავისუფლეს და თფილისიდან აგზავნიან.
- ორიკ რკინის გზის კონდუქტორია: სიმონ მახარაძე და გიორგი მაქვარიანი.

ანგარიში

კავკასიის მუშათა სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციათა კავშირის კანისა.

იანვარი—აპრილი 1903 წ.

შეგოსავალი:

ა. 1	.	.	600 მ.
ა. 2	.	.	300
ა. 3	.	.	400
ბათ. შემოწ.	.	.	15
ქუთ.	.	.	79
„ბრძოლის“ გაყიდვით	.	.	22 90 კ
აღამძისაგან	.	.	20

კამო შემოწირულობანი:

ა. და კ.	.	.	10
ტ. ს.	.	.	150
თანამგონობ. ჯგუფისგან	.	.	171
ავსტრიიდან და ბერლინიდან:	.	.	
„პროლეტარიატის“	.	.	11
„პროლეტარიატის“ გაყიდვისაგან	.	.	10
ს.-გან, მარტის და აპრილის	.	.	6


შეღება: 1794 მ. 90 კ.

გასავალი:

ლიტერატურისთვის	.	.	600 მ.
სტამბის ხარჯი	.	.	397 95
კონსპირატ. ხარჯები	.	.	122 5

შეღება 1120 მ.

დარჩა კასაში 674 მ. 90 კ.



დაიბეჭდა

და გაავრცენა აღმოსავლეთ კავშირთაგან შემდგომი წიგნები:

- 1) ობოზა და ბუზი. ვ. ლიბენცისა, თარ. ნემეც.
- 2) სიტყვები ნიქეგოროდის მუშებისა სასამართლოს წინაშე.
- 3) პირველი მისობა.
- 4) სალდათობა.
- 5) ვინ არიან სოციალდემოკრატები და რა უნდათ მათ.
- 6) ოთხი ძმა. მეორე გამოცემა.
- 7) კავკასიის მუშათა სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციათა კავშირის პროგრამის პროექტი. ცალკე ოტისკი „პროლეტარიატის ბრძოლისაგან“.



ყოველივე საჭირო ცნობები გთხოვთ მოგეწოდოთ შემდეგი ადრესით: I. H. W. Dietz Nach. in Stuttgart

სტამბა კავშირისა.